



## საერთაშორისო მყიდველთა პროგრამა Farmfair International 2017

### ზოგადი ინფორმაცია

ნორსლენდსი, რომელიც მდებარეობს ედმონტონში, ალბერტას პროვინციაში, წარმოადგენს კანადის ერთ-ერთ უძველეს და ყველაზე განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ის ორგანიზებას უწევს მრავალ ღონისძიებას, მათ შორის, კანადის ყველაზე მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო გამოფენას Farmfair International-ს. დაწყებული გენეტიკიდან და შინაური ცხოველებიდან, დასრულებული უახლესი ტექნოლოგიით, ეს გამოფენა წარმოადგენს უნივერსალურ ბაზარს მწარმოებლებისა და ინდუსტრიისთვის.

საერთაშორისო მყიდველთა პროგრამა კვალიფიციურ, შინაური ცხოველების საერთაშორისო მყიდველებს აძლევს შესაძლებლობას დაესწრონ Farmfair International-ის (FFI) მთავარ ღონისძიებებს და დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები ალბერტას სოფლის მეურნეობის მწარმოებლებთან, ექსპორტიორებთან და დარგის ლიდერებთან.

FFI-ის პროგრამაში მონაწილე კვალიფიციურ მყიდველებს აუნაზღაურდებათ ეკონომ კლასის ავიაბილეთის ღირებულების 50% და დღიური ხარჯი 200 კანადური დოლარის ოდენობით FFI-ის ჩატარების განმავლობაში. შენიშვნა: თუ 2 ან მეტი დაფინანსებული მყიდველი იყოფს სასტუმროს ოთახს, დღიური ხარჯი ნაწილდება შესაბამისად. ანაზღაურებას დაქვემდებარებული ხარჯები მოიცავს ავიაბილეთის, ბარგის და საცხოვრებელ ხარჯებს FFI-ის საერთაშორისო მყიდველთა პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის მონაწილეებს ეძლევათ ინდივიდუალური მარშრუტი მათი სტუმრობის განმავლობაში, მათ შორის, FFI-ის გამოფენის ღონისძიებები, საერთაშორისო მიღება, შინაური ცხოველების სპეციფიური ღონისძიებები და დამატებითი პროგრამები, როგორებიცაა ფერმის და ინდუსტრიის ტურები. შესაძლებელია FFI-ის ფარგლებს გარეთ აქტივობების დაგეგმვა, თუმცა, აუცილებელია შესაბამისი მოთხოვნა დაფიქსირდეს განაცხადის (აპლიკაციის) წარდგენისას. ძირითადი ღონისძიება ჩატარდება 2017 წლის 7-12 ნოემბერს.

გარდა ამისა, საერთაშორისო მყიდველთა პროგრამის ყველა მონაწილე და FFI-ზე წინასწარ დარეგისტრირებული საერთაშორისო სტუმრები მიიღებენ სხვადასხვა სახის სარგებელს: გამოფენაზე უფასო დაშვებას, საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს ცენტრის (International AgBusiness Centre) წევრობას, სასტუმროს შეღავათიან ტარიფებს FFI-ის მასპინძელ სასტუმროებში, ფერმის და ინდუსტრიის ტურების შერჩევის შესაძლებლობას, განსაკუთრებულ ღონისძიებებს და სხვა!





## მოთხოვნები

- თითოეული რანჩოდან/ფერმიდან/ერთეულიდან დაფინანსდება ერთი ადამიანი.
- პროგრამაში პირველად მონაწილეობა.
- აპლიკაციაში შემდეგი სახის ინფორმაციის მითითება: ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია, სახეობები/ჯიშები, სულადობა და გენეტიკური ინტერესი (მაგ. ანგუსის ჯიშის ემბრიონების ძიება), ასევე, თუ რატომ გსურთ პროგრამაში მონაწილეობა.
- შერჩეულმა მყიდველებმა უნდა წარმოადგინონ ქვითრები და ანგარიშგება 2017 წლის 24 ნოემბრამდე. დამატებითი დეტალები გეცნობებათ თანხმობის შემთხვევაში.

**როგორ წარვადგინოთ განაცხადი:** ონლაინ რეგისტრაცია შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: [www.farmfairinternational.com](http://www.farmfairinternational.com)

**ბოლო ვადა:** 1 სექტემბერი, 2017 წ. მონაწილეებს შერჩევის შესახებ ინფორმაცია ეცნობებათ 2017 წლის სექტემბრის შუა რიცხვებისთვის.

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**

Northlands Agriculture Department  
P.O. Box 1480  
Edmonton, AB T5J 2N5  
Phone: 780.471.7300

Stacy Felkar  
International Marketing Manager  
Phone: 780.491.3431  
Email: [sfelkar@northlands.com](mailto:sfelkar@northlands.com)

Updated: March 14, 2017

